



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 96

19/12/2017

დავით ბრეგვაძის და სოფიო ფანჩულიძის მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების, პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილების შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

მუხლი 1. მივლინებულ იქნას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში დავით ბრეგვაძე და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში სოფიო ფანჩულიძე ამა წლის 20 დეკემბერს, მის: ქ. წყალტუბო, სასტუმრო “წყალტუბო სპა რესორტში“, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 2. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელომწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო